

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები 2024 წელი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2025

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები (2024 წელი)

2024 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით¹ დაკავებული საწარმოების შემოსავლებმა 12.1 მლრდ. ლარი შეადგინა. შემოსავლის უდიდეს ნაწილს (76.9%) საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები შეადგენდა, 9.5% საკომისიო შემოსავლებზე მოდიოდა, ხოლო დარჩენილი 13.6% სხვა სახის შემოსავლებზე განაწილდა.

საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2024 წელს



¹ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016: განყოფილება 64 - საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა; განყოფილება 66 - საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2025

2024 წლის დასასრულისთვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 2.9 მლრდ. ლარი ნაღდი ფულის სახით. ამავე დროს, ფიქსირებული და არანარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 2.5 მლრდ. ლარი შეადგინა.

2024 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 42.5 ათასს შეადგენდა, რომელთაგან 65.9 პროცენტი ქალი იყო.

2024 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 1.1 მლრდ. ლარი შეადგინა², საიდანაც 41.7% სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდიოდა, 11.8% – ქონების დაზღვევაზე, 9.2% – სიცოცხლის დაზღვევაზე, 6.7% – სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 1.4% – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (29.2%) სხვა სახის დაზღვევაზე განაწილდა.

2024 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 707.6 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 52.6% სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდიოდა, 5.5% – სიცოცხლის დაზღვევაზე, 4.6% – სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 4.5% – ქონების დაზღვევაზე, 0.3% – უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (32.5%) სხვა სახის დაზღვევაზე განაწილდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების მიერ 2024 წელს გამომუშავებული პრემია და დამდგარი სადაზღვევო ზარალი, დაზღვევის სახეობების მიხედვით:


² წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.10.2025

დიაგრამა №2

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია და დამდგარი ზარალი დაზღვევის სახეობების მიხედვით 2024 წელს (მლნ. ლარი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge